

საბაკალავრო პროგრამის დასახელება:

კომპიუტერული მეცნიერება

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
(BComSci – Bachelor of Computer Science)

საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი:

სრული პროფესორი კობა გელაშვილი

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები:

სრული პროფესორი მანანა ხაჩიძე
სრული პროფესორი კობა გელაშვილი,
სრული პროფესორი ალექსანდრე
გამყრელიძე,
სრული პროფესორი გია სირბილაძე,
ასოც. პროფესორი ზაურ მაჩაიძე

პროგრამის მიზანი – საბაკალავრო პროგრამის მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტებს:

სისტემური შეხედულება დისციპლინაზე. სტუდენტებს უნდა შეექმნათ ზოგად-სისტემური წარმოდგენა კომპიუტერული სისტემების სტრუქტურაზე და მათი შექმნისა და ანალიზის პროცესებზე;

კომპიუტერული მეცნიერების ძირითადი მეთოდების ღრმა ცოდნა.

კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ ამ მეთოდების ფართო გამოყენება და არ უნდა შემოიფარგლონ იმ ჩარჩოებით, რომლებშიც ისინი იყვნენ აღწერილი;

დიდ (ჯგუფურ) პროექტში მონაწილეობის უნარ-ჩვევები. მიღებული ცოდნის ეფექტური გამოყენების უნარის ფორმირებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ რეალურ პროექტში მონაწილეობის გამოცდილება;

ადაპტირების უნარი. კომპიუტერული მეცნიერების ნიშანდობლივი თავისებურებაა მისი ტექნოლოგიური ნაწილის ძალზე სწრაფი განვითარება, ამიტომ სტუდენტები უნდა აღიჭურვონ ღრმა ფუნდამენტური ცოდნით, რაც მათ საშუალებას მისცემთ “ფეხი აუწყონ” კომპიუტერული მეცნიერების ევოლუციას.

სწავლის შედეგი – საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

შეისწავლის კომპიუტერული მეცნიერების ძირითად ფაქტებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიას;

აითვისებს სხვადასხვა სახის კომპიუტერული (საინფორმაციო) სისტემების მოდელირების, პროექტირების, რეალიზაციისა და ექსპლუატაციის უნარ-ჩვევებს;

შეძლებს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული ჩვევების და ინსტრუმენტების გამოყენებას კომპიუტერული სისტემების პროექტირების, რეალიზაციის და შეფასებისათვის;

შეძლებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო, აუდიო) ეფექტური მართვის პრინციპების გამოყენებას;

დაეუფლება სისტემების და მათი თვისობრივი მახასიათებლების შეფასებას, კონკრეტული ამოცანის ამოხსნის შესაძლო კომპრომისული გზების მოძებნას;

ეცოდინება კომპიუტერული სისტემების სპეციფიკაციის შედგენა, პროექტირება და რეალიზაცია;

შეძლებს კომპიუტერული მოწყობილობებისა და პროგრამული საშუალებების ეფექტურ ექსპლუატაციას;

შეიძენს ტექნიკური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ფართო აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლის გამოცდილებას, შეძლებს პროგრამული საშუალებების პრეზენტაციას;

გამოიმუშავებს პროფესიული ზრდის მოთხოვნილებას, მისწრაფებას იყოს ინფორმირებული კომპიუტერულ მეცნიერებაში უკანასკნელი სიახლეების შესახებ;

შეიძენს კოლექტიურ გარემოში ეფექტური მუშაობის ჩვევებს;

გამოიმუშავებს პრობლემის რაოდენობრივი მახასიათებლების აღქმისა და ახსნის უნარს.

საქმების სფეროები - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის პროფესიული მოღვაწეობის სფეროებია: მართვის სახელმწიფო ორგანოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციები, რომლებიც

თავიანთ საქმიანობაში კომპიუტერულ ტექნოლოგიებს იყენებენ. კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი უპირატესად მომზადებულია თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა-გამოყენებისათვის ეკონომიკის, მართვის და ფინანსური საქმიანობის სფეროებში. კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრმა შეიძლება დაიკავოს თანამდებობები, რომლებიც საქართველოს კანონების თანახმად უმაღლეს განათლებას საჭიროებენ.

ის გაგრძელების საშუალება: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი სწავლის გაგრძელებას შეძლებს კომპიუტერული მეცნიერების, საინფორმაციო სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა სამაგისტრო პროგრამებზე.

ადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა (სემესტრი): ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა მესამე სემესტრი (ოპტიმალური ვადაა მეორე სემესტრი). არჩევანის შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სწავლის გაგრძელება მათემატიკის ან ელექტრონიკის სპეციალობებზე.

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა:

16	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	3	1/1/0/1	125	5		5						2, 4, 5, 6
17	რიცხვითი ანალიზი	3	1/0/1/1	125	5		5						2, 4, 5, 6
18	დისკრეტული სისტემები	4	2/2/0/0	125	5			5					14
19	ალგორითმების აგება	3	1/1/1/0	125	5			5					16
20	არჩევითი კურსი (ერთ-ერთი № 33-35-დან)	3	1/0/1/1	125	5			5					13
21	მათემატიკური დაპროგრამება	3	1/1/1/0	125	5			5					15
22	მონაცემთა ბაზები-1	3	1/0/1/1	125	5			5					3, 5,6
23	ინფორმაციის თეორია და კოდირება	3	2/0/1/0	125	5			5					14
24	კომპიუტერის ორგანიზაცია და არქიტექტურა	3	2/0//1	125	5				5				3, 5, 6
25	მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა	3	1/1/1/0	125	5				5				2, 18
26	ოპერაციულ კვლევა	3	1/1/0/1	125	5				5				2, 4, 15
27	ოპერაციული სისტემები	3	1/0/1/1	125	5				5				3, 5, 6
28	მონაცემთა ბაზები 2	3	1/0/1/1	125	5				5				22
29	ხელოვნური ინტელექტი	3	1/1/1/0	125	5				5				14, 19
30	მოდელირება და სიმულაცია	3	1/1/1/0	125	5					5			25

31	ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები	3	1/1/0/1		5					5			3, 5, 6, 27
32	პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია	3	1/1/1/0	125	5					5			20
	ჯგუფური პროექტი ან საბაკალავრონაშრომი	2		125	5							5	31,32
	სულ ძირითადი				150								
	დამატებითი სპეციალობის (Minor), თავისუფალი და/ან არჩევითი საგნების კრედიტები				90	-	-	-	-	10	25	30	25

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სკ - საათი კვირაში

ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

სმკ - სამუშაოთა მოცულობა კვირაში (გამოითვლება ფორმულით: 25*კრედიტების რაოდენობაზე)
 ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (The European Credit Transfer and Accumulation System)

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: ____

ფაკულტეტის ბეჭედი:

